ხელშეკრულება
სახლმწიფო შესყიდვის შესახებ #25/01-02

ქ.თბილისი ,,25”,,იანვარი”2019 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, შპს,,აკად.ნ.ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა”, შემდგომში შემსყიდველი, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის, ლევან გოფოძის სახით და მეორე მხრივ შპს,,ვესტფარმი“ შემდგომში მიმწოდებელი, დირექტორის არჩილ ბენიძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, SMP-მოდულში განთავსებულ განცხადებაზე მიღებული თანხმობის **SMP190000400** საფუძველზე, ორგანიზაციის საჭიროებისათვის სამედიცინო მოწყობილობების (CPV კოდი: 33100000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 3607.96(სამი ათას ექვსას შვიდი ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარად. (შემდგომში ,,ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

#	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფასი
1	სპინალური ნემსი 22G	ცალი	100	0.97	97.00
2	პერიფერიული ვენის კათეტერი 16 G	ცალი	1000	0.32	320.00
3	სასაგნე მინა შლიფით	ცალი	1440	0.034	48.96
4	ლეიკოპლასტირი ვენის საფიქსაციო	ცალი	4000	0.11	440.00
5	საფენი წებოვანი სტ 10*15სმ	ცალი	2000	0.23	460.00
6	სკარიფიკატორი (მეტალის)	ცალი	1000	0.0220	22.00
7	სტოპკოკი 3-არხ	ცალი	4000	0.3800	1520
8	შპრიცი 1 მლ ინს. 100 ერთ	ცალი	5000	0.1400	700.00
სულ					3607.96

4. საქონლის მიწოდებელის პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად, 2019 წლის 25 იანვარს.

4.2. ადგილი:

4.2.1. შპს,,აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“, ვაჟა-ფშაველას გამზ. #29

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

5.2. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

6. შესასყიდი საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიწოდებისას ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი;

6.2. ,,მიმწოდებელი“ საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარუდგენს ,,შემსყიდველს“ შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და 5.2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს(საჭიროებისამებრ);

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.2. ,,შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა;

8. მხარეთა უფლება

8.1. ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით;

8.2. ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელკშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს უფლებამოსილი პირი;

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხეკშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ;
15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 25 თებერვლამდე;

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს
16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან

<u>**მხარეთა რეკვიზიტები**</u>

`შემსყიდველი~	**„მიმწოდებელი“**
შპს “აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“	შპს „ვესტფარმი“
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #29	ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ.#85
ს/კ #205165453	ს/კ №212699720
ს.ს. “ბანკი ქართუ“	ს.ს. „VTB ბანკი“ ქუთასის ფილიალი
ბ/კ # CRTUGE22	ბ/კ №UGEBGE22
ა/ა # GE87CR0000000000023402	ა/ა №GE59VT0500000006133602
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	**დირექტორი**
ლევან გოფოძე	**არჩილ ბენიძე**

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი ,,25” „იანვარი“2019წ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს “აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა” დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლევან გოფოძის სახით, შემდგომში `შემსყიდველად” წოდებული და მეორეს მხრივ ,,მიმწოდებელი“, შპს შპს,,ვესტფარმი“ დირექტორის არჩილ ბენიძის სახით ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მოწოდებულია საქონელი 2019 წლის 25 იანვრის #25/01-02 ხელშეკრულების მიხედვით.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 3607.96(სამი ათას ექვსას შვიდი ლარი და ოთხმოცდათექსვმეტი თეთრი) ლარს.
სასაქონლო ზედნადებით #ელ- 0429036664 მოწოდებული საქონელის ღირებულებამ 3607.96(სამი ათას ექვსას შვიდი ლარი და ოთხმოცდათექსვმეტი თეთრი) ლარი.

„შემსყიდველი“

შპს “აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #29
ს/კ #205165453
ს.ს. “ბანკი ქართუ“
ბ/კ# CRTUGE22
ა/ა # GE87CR0000000000023402
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ლევან გოფოძე

„მიმწოდებელი“

შპს „ვესტფარმი“

ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ.#85
ს/კ №212699720
ს.ს. „VTB ბანკი“ ქუთასის ფილიალი
ბ/კ №UGEBGE22
ა/ა №GE59VT0500000006133602
დირექტორი
არჩილ ბენიძე

LTD WESTPHARM

Подписано цифровой подписью: LTD WESTPHARM
Дата: 2019.01.25 21:18:29 +03'00'